

ბაიესის ტიპის მიმდევრობითი ანალიზის მეთოდები მრავალი ჰიპოთეზის
შემოწმებისათვის

ყაჭიაშვილი ქ.ი.

რეზიუმე

შემოთავაზებულია მრავალი ჰიპოთეზის შემოწმების ახალი მიმდევრობითი მეთოდები, რომლებიც დაფუძნებულია ჰიპოთეზების მიღების არეების განსაკუთრებულ თვისებებზე პირობით ბაიესის ამოცანებში. ერთ-ერთი ასეთი მეთოდის თვისებების გამოკვლევის შედეგები არის მოცემული. ისინი გვიჩვენებენ მიღებული შედეგების ძალმოსილებას, სიმარტივეს და ოპტიმალობას შერჩეული კრიტერიუმის თვალსაზრისით. კრიტერიუმის არსი მდგომარეობს ერთი ტიპის შეცდომის ალბათობის ზემოდან შემოზღუდვაში და, ამ პირობებში, მეორე ტიპის შეცდომის ალბათობის მინიმიზაციაში. შემოთავაზებული მეთოდის შესაბამისი თვისებების არსებობის ფაქტები არის დამტკიცებული. კორელირებულ კომპონენტებიანი მრავალგანზომილებიანი ნორმალური განაწილებიდან მიმდევრობით მიღებული დამოუკიდებელი ამონარჩევით ჰიპოთეზების შემოწმების მაგალითები არის მოყვანილი. ისინი გვიჩვენებენ შემოთავაზებული მეთოდების მაღალ ხარისხს. ვაღდის მიმდევრობითი მეთოდით მიღებული შედეგები არის მოცემული მაგალითებისათვის ორი ჰიპოთეზის შემთხვევაში და ისინი შედარებულია შემოთავაზებული მეთოდით მიღებულ შედეგებთან.